მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტი
ბიზნეს გეგმის ნიმუში

წინამდებარე ფორმა წარმოადგენს მხოლოდ საინფორმაციო ვერსიას. გაითვალისწინეთ, რომ ბიზნეს გეგმის შევსება შესაძლებელი იქნება მხოლოდ სპეციალური ონლაინ პროგრამის მეშვეობით, რომელიც ხელმისაწვდომი გახდება განმცხადებლებისთვის ვებგვერდზე www.qartuli.ge 2015 წლის აგვისტოში.

მოწოდებული ინფორმაცია შესაძლებელია არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილ კითხვებზე პასუხებით, შეგიძლიათ ასევე მოგვაწოდოთ გადაწვეტილების მისაღებად აუცილებელი ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია.

გთხოვთ ბიზნეს გეგმაში წარმოადგინოთ ინფორმაცია უშუალოდ დასაფინანსებელი პროექტის შესახებ.

მოკლე მიმოხილვა

1. მთავარი იდეა;

დეტალურად აღწერეთ თუ რაში მდგომარეობს თქვენი ბიზნესის მთავარი იდეა: განმარტეთ თუ რა იქნება თქვენი ბიზნესის მთავარი დანიშნულება.

ნიმუში

პროდუქტი და მომსახურება

გაითვალისწინეთ აღნ[illegible] ოლოდ ნიმუშს.
ბიზნეს გეგმების მიღება განხორციელდება მხოლოდ ონლაინ პროგრამის

2. საწარმოებელი პროდუქტი/მომსახურება

ჩამოაყალიბეთ რა სახის საქონლის წარმოება ან როგორი სახის მომსახურების მიწოდება ხდება პროექტის ფარგლებში. გამოყავით თქვენი პროდუქციის განსაკუთრებული ნიშან-თვისებები, რომლებიც გამოარჩევს მას კონკურენტებისგან (თუ იგეგმება წარმოებული პროდუქტის შეფუთვა, აღწერეთ შესაფუთი მასალა და შეფუთვის სახეობა, დასაფასოებელი მოცულობა).

მართვა და ორგანიზება

3. განმცხადებლ(ებ)ის ფუნქცია-მოვალეობები

დეტალურად აღწერეთ განმცხადებლ(ებ)ის ფუნქცია-მოვალეობები ბიზნესში (მიუთითეთ, თუ რა ქონებით (მატერიალური) ან ცოდნით/გამოცდილებით (არამატერიალური) მონაწილეობს თითოეული მფლობელი ბიზნესში).

4. განმცხადებლ(ებ)ის გამოცდილება

ჩამოაყალიბეთ რა უნარები (განათლება, პრაქტიკული გამოცდილება) გააჩნიათ მფლობელებს დაგეგმილი ბიზნესის განსახორციელებლად. (გაითვალისწინეთ, რომ მიუთითოთ ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისი განათლება და გამოცდილება)

5. ბიზნეს საქმიანობაში გამოსაყენებელი არსებული ქონება

წარმოადგინეთ ინფორმაცია არსებული ქონების შესახებ, რომელიც გამოყენებული იქნება ბიზნეს საქმიანობაში. უძრავი ქონების შემთხვევაში ადგილმდებარეობა, ფართი (კვადრატულობა), დანიშნულება, საკადასტრო ნომერი. მოძრავი ქონების შემთხვევაში მოდელი/დასახელება, გამოშვების წელი. თქვენი შეხედულებისამებრ მიუთითეთ თითოეული ნივთის საბაზრო ღირებულება. აღნიშნეთ თუ გაგაჩნიათ არამატერიალური ქონება (მაგალითად: კლიენტთა ბაზა, რეპუტაცია, სპეციალური უფლებები და სხვა), ინტელექტუალური ქონება (პატენტი, სამარკო ნიშანი, კომპიუტერული პროგრამა, სასწავლო მასალები და სხვა); ასევე მიუთითეთ ის საბრუნავი საშუალებები (მასალა, ნედლეული, მარაგები) რომლებიც უკვე გაგაჩნიათ მფლობელობაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

**თუ იგეგმება ბიზნესისათვის საჭირო უძრავი ქონების იჯარით აღება (დაქირავება), წარმოადგინეთ მისი საკადასტრო ნომერი, მისამართი და ინფორმაცია მფლობელის შესახებ.*

გაითვალისწინეთ აღსანიშნავია, წარმოდგენილ ინფორმაციას ბიზნეს გეგმების მიღება განხორციელდება მხოლოდ ონლაინ პროგრამის მეშვეობით

6. დამატებითი ინფორმაცია

მიუთითეთ ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელსაც თვლით მიზანშეწონილად თქვენი ბიზნეს გეგმის უკეთესად წარმოსაჩენად.

არსებული ბიზნესი

(კითხვები № 7, 8, 9 შეავსეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ თანადაფინანსებას ითხოვთ არსებული ბიზნესის გასაფართოებლად და არა ახალი ბიზნესის წამოსაწყებად)

7. არსებული ბიზნესის გაფართოება;

თუ საუბარია არსებული ბიზნესის გაფართოებაზე, აღწერეთ, თუ რა სახის პროდუქტს/მომსახურებას აწარმოებთ ამჟამად; რა სახით მოხდება ბიზნესის განვითარება პროექტის დაფინანსების შემთხვევაში. მნიშვნელოვანია აღწეროთ თუ რა დამატებით ღირებულებას შეუქმნის არსებულ ბიზნესს გაფართოებისთვის დახარჯული (თანადაფინანსების და თანამონაწილეობის) თანხები.

8. არსებული გაყიდვები;

თუ თქვენი ბიზნეს-გეგმა შეეხება არსებული ბიზნესის განვითარებას და არა ახალი ბიზნესის შექმნას, დაწერეთ არსებული ბიზნესის ამჟამინდელი მდგომარეობა: სად იყიდება პროდუქცია, რა არის გასაყიდი ფასი, ვინ არიან მომხმარებლები, აქვს თუ არა ბიზნესს განვითარების (მეტის წარმოების და გაყიდვის) შესაძლებლობა. დაახასიათეთ რამდენს ყიდის ბიზნესი ამჟამად და რამდენის გაყიდვა იგეგმება გაფართოების შემდგომ.

ნიმუში

გაითვალისწინეთ აღნიშნული ფორმა წარმოადგენს, მხოლოდ ნიმუშს.
ბიზნეს გეგმების მიღება განხორციელდება მხოლოდ ონლაინ პროგრამის მეშვეობით

9. არსებული პერსონალი;

არსებული ბიზნესის შემთხვევაში დაწერეთ ამჟამად დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა, განმცხადებლ(ებ)ის ჩათვლით. მათ რიცხვში ასევე გაითვალისწინეთ განმცხადებლ(ებ)ის ოჯახის წევრები, თუ ისინი დასაქმებულნი არიან მოცემულ ბიზნესში, მიუხედავად იმისა, უნაზღაურდებათ თუ არა მათ გაწეული შრომა ხელფასის სახით.

წარმოება

10. წარმოების პროცესის აღწერა

დეტალურად აღწერეთ ბიზნეს გეგმით გათვალისწინებული პროდუქციის წარმოების ან/და მომსახურების მიწოდების სრული პროცესი, ნედლეულისა თუ მასალების შესყიდვიდან მზა პროდუქციის/მომსახურების მომხმარებლისთვის მიწოდებამდე. აღწერეთ წარმოების ტექნოლოგია. საჭიროების შემთხვევაში წარმოების ციკლის/პროცესის აღწერისას ყურადღება გაამახვილეთ წარმოების სეზონურობაზე (სასოფლო-სამეურნეო ბიზნესის შემთხვევაში - აგრო-ვადებზე). პროცესის აღწერასთან ერთად ჩამოწერეთ ძირითადი საშუალებები (შენობა, მიწა, სხვადასხვა სახის დანადგარი და სხვა) და საბრუნავი საშუალებები (ნედლეული, მასალები), რაც საჭიროა საწარმოო პროცესისათვის. საჭიროების შემთხვევაში მიუთითეთ ინფორმაცია ნედლეულის/მასალის/საბრუნავი საშუალებების, მომწოდებლების შესახებ და დაახასიათეთ აღნიშნული ნედლეული თუ მასალა;

11. ახალი პერსონალი;

დაწერეთ სულ რამდენი ადამიანი იქნება დასაქმებული ბიზნესში პროექტის განხორციელების შემთხვევაში. განმცხადებლ(ებ)ის და მისი/მათი ოჯახის წევრების ჩათვლით, თუ ისინი დასაქმდებიან მოცემულ ბიზნესში, მიუხედავად იმისა, უნაზღაურდებათ თუ არა მათ გაწეული შრომა ხელფასის სახით.

ნიმუში

გაითვალისწინეთ აღნიშნული ფორმა წარმოადგენს, მხოლოდ ნიმუშს.
ბიზნეს გეგმების მიღება განხორციელდება მხოლოდ ონლაინ პროგრამის
მეშვეობით

მარკეტინგული გეგმა

12. საწარმოს გეოგრაფიული ადგილმდებარეობა

მიუთითეთ ბიზნეს გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების დეტალური ადგილმდებარეობა, მოკლედ განმარტეთ რა უპირატესობები გააჩნია შერჩეულ მდებარეობას;

13. გაყიდვების სეზონურობა

ხასიათდება თუ არა თქვენი პროდუქტის/მომსახურების გაყიდვების პროცესი სეზონურობით. რომელია განსაკუთრებული სეზონი თქვენი საქმიანობასთვის და რატომ;

14. პროდუქციის/მომსახურების გაყიდვების გეოგრაფიული არეალი

სად უნდა განხორციელდეს რეალიზაცია/გაყიდვები, ჩამოთვალეთ კონკრეტული რეგიონები, სოფლები/ქალაქები;

15. სამიზნე ბაზარი - მომხმარებლები

დაახასიათეთ თქვენი პროდუქტის/მომსახურების სავარაუდო მომხმარებელი (მიზნობრივი სეგმენტი); რა მახასიათებლები გააჩნიათ მათ; უმეტესად ვინ იქნებიან ბიზნესის ძირითადი მომხმარებლები უცხოელები (ტურისტები) თუ ადგილობრივი მაცხოვრებლები. ასევე მუთითეთ იქნებიან ისინი კომპანიები, თუ ფიზიკური პირები;

ნიმუში

16. კონკურენცია

გაეცანით, აუცილებელია ეფექტურ წარმოებასა და ბიზნეს. ბიზნესგეგმის ფასიანი ნიმუშებს. ბიზნესგეგმის ფასიანი ნიმუშებია ამ ეტაპზე ხელმისაწვდომი. ეფექტურ ბიზნეს მეშვეობით

განმარტეთ, თუ ვინ იქნება თქვენი უშუალო კონკურენტი; შეადარეთ თქვენი პროდუქტის/მომსახურების ფასი და ხარისხი კონკურენტების პროდუქტის/მომსახურების ფასს და ხარისხს.; გამოყავით თქვენი პროდუქტის ან მომსახურების ის განმასხვავებელი ნიშნები, რომლებიც გამოგარჩევთ კონკურენტებისგან.

პროექტის ბიუჯეტი და ფინანსური გათვლები

17. თანამონაწილეობის თანხით განსახორციელებელი აქტივობები და ვადა

ჩამოწერეთ ის ამოცანები/აქტივობები, რომლებსაც განახორციელებთ თანამონაწილეობის თანხით (იგულისხმება ის ამოცანები, რომლის შესასრულებლადაც გათვალისწინებულია თანამონაწილეობის თანხა) და მიუთითეთ, თუ რამდენ ხანში დახარჯავთ თქვენს თანამონაწილეობას. (მიუთითეთ ის ამოცანები და ვადა, რაც საჭიროა თანამონაწილეობის თანხის დასახარჯად)

თანამონაწილეობის თანხის დახარჯვისთვის საჭირო ამოცანები/აქტივობები

სულ ვადა/დრო: [ ] კვირა

ნიმუში

18. თანადაფინანსების თანხით განსახორციელებელი აქტივობები და ვადა

ჩამოწერეთ ის ამოცანები/აქტივობები, რომლებსაც განსახორციელებთ თანადაფინანსების თანხით (იგულისხმება ის ამოცანები, რომლის შესასრულებლადაც გათვალისწინებულია თანადაფინანსების თანხა) და მიუთითეთ, თუ რამდენ ხანში დახარჯავთ თქვენს თანადაფინანსებას. (მიუთითეთ ის ამოცანები და ვადა, რაც საჭიროა თანამონაწილეობს თანხით დასახარჯად)

გაითვალისწინეთ, ამ ფორმატში ფასდება ის ამოცანები, რომლებიც ეხება ბიზნეს-აქტივობის განხორციელებას, ან/და ინოვაციურ ბიზნეს-მოდელის დანერგვას, ან/და ინოვაციურ ტექნოლოგიებს, ან/და მეშვეობიანობას

თანადაფინანსების თანხის დახარჯვისთვის საჭირო ამოცანები

სულ ვადა/დრო: [ ] კვირა

19. პირველი შემოსავლის მიღება თანადაფინანსების თანხის დახარჯვის შემდგომ

თანადაფინანსების დახარჯვიდან რამდენ ხანში გეგმავთ პირველი შემოსავლის მიღებას. შემოსავალში იგულისხმება პირველი ბიზნეს აქტივობა, პირველი შემოსული ფული, რომელიც

მიღებული იქნება ბიზნეს გეგმით გათვალისწინებული პროდუქტის/მომსახურების რეალიზაციით

20. პროექტის ბიუჯეტი

პროექტის ბიუჯეტში, მუხლში „საქონელი და მომსახურება“, უნდა შეავსოთ ინფორმაცია თქვენი თანამონაწილეობის თანხით გათვალისწინებული შესაძენი სამუალებების (საქონელის და მომსახურების) შესახებ;

პროექტის ბიუჯეტში, მუხლში „ძირითადი აქტივები“, უნდა შეავსოთ ინფორმაცია მიღებული თანადაფინანსებით შესაძენი კაპიტალიზირებადი აქტივების (ძირითადი აქტივების) შესახებ;

პროექტის ბიუჯეტში, მუხლში „მარკეტინგული ხარჯი“, უნდა შეავსოთ ინფორმაცია მიღებული თანადაფინანსებიდან გასაწევი მარკეტინგული ხარჯების შესახებ (რეკლამა, ბანერები ბუკლეტები და სხვა).

გაითვალისწინეთ, რომ მარკეტინგული ხარჯი, რომელსაც გაწევთ თანადაფიანსებით, არ უნდა აღემატებოდეს თანადაფინანსების 10%-ს.

პროექტის ბიუჯეტი (განმცხადებლ(ებ)ის თანამონაწილეობა)				
ბიუჯეტის მუხლი	ერთეული	ერთეულის რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	სულ ღირებულება (ბენეფიციარის თანამონაწილეობა ლარი)
საბრუნავი საშუალებები				
მომსახურების ხარჯები				

ნიმუში

გაითვალისწინეთ აღნიშნული თორმა წარმოადგენს, მხოლოდ ნიმუშს.

პროექტის ბიუჯეტი (მიღებული თანადაფინანსება + თანამონაწილეობა)							
დასახელება	ტექნიკური მახასიათებელი	ერთეული	ერთეულის რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	სულ ღირებულება (ლარი)	მიღებული თანადაფინანსება (ლარი)	ბენეფიციარის დასამატებელი თანამონაწილეობა (ლარი)
ძირითადი აქტივები							
მარკეტინგული ხარჯი							
ჯამი:					=სულ ღირებულება (ლარი)	=სულ: მიღებული თანადაფინანსება	= სულ: ბენეფიციარის თანამონაწილეობა (ლარი)

21. შემოსავლების და ხარჯების ცხრილი

შემოსავლების და ხარჯების ცხრილი შეგიძლიათ იხილოთ უშუალოდ ბიზნეს გეგმის ონლაინ პროგრამაში ვებგვერდზე: www.qartuli.ge.

** თუ ბიზნეს გეგმით გათვალისწინებულია უძრავი ქონების იჯარა, ბიზნეს გეგმის კონკურსში გამარჯვებული ბენეფიციარები, ვალდებული იქნებიან დაფინანსების მიღებამდე გააფორმონ შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულება.*

ნიმუში

გაითვალისწინეთ აღნიშნული ფორმა წარმოადგენს, მხოლოდ ნიმუშს. ბიზნეს გეგმების მიღება განხორციელდება მხოლოდ ონლაინ პროგრამის მეშვეობით